



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 10

26/03/2019

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში და განკარგულების პირველ პუნქტით დამტკიცებულ დანართს დაემატოს მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტი თანდართული დანართის სახით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებალიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დანართი

N	ობიექტის დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა (პირობიანი, უპირობო)	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შექმნილი კონცხის სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა	შენიშვნა
3	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 443 კვ.მ. და მასზე არსებული ობიექტი N1; N2 (ნანგრევი)	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აწყური, „ვეტ-უბანის შენობა“. ს/კ 62.04.52.018	მიწის ნაკვეთის 1(ერთი) კვ.მეტრზე 30 (ოცდაათი) ლარი სულ: 13290 (ცამეტი ატას ოთხმოცდაათი) ლარი. მასზე არსებული შენობის 300 (სამასი) ლარი სულ: 13590 (ცამეტი ათას ხუთას ოთხმოცდაათი) ლარი.	ელექტრონული აუქციონი, უპირობო ფორმით.	გადახდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.	
4	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 417კვ.მ. და მასზე არსებული ობიექტი N1(არასაცხოვრებელი).	ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აწყური, „ვეტ-უბანის შენობა“. ს/კ 62.04.52.019	მიწის ნაკვეთის 1(ერთი) კვ.მეტრზე 30 (ოცდაათი) ლარი სულ: 12510 (თორმეტი ათას ხუთას ათი) ლარი. მასზე არსებული შენობის 2100 (ორი ათას ასი) ლარი სულ: 14610 (თოთხმეტი ათას ექვსას ათი) ლარი.	ელექტრონული აუქციონი, უპირობო ფორმით.	გადახდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.	
5	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 394კვ.მ.	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი, ს/კ 62.09.60.963	1(ერთი) კვ.მეტრზე 25,043 (ოცდახუთი ლარი და 043 თეთრი) ლარი სულ: 9867,0 ცხრა ათას რვაას სამოცდაშვიდი) ლარი	ელექტრონული აუქციონი, უპირობო ფორმით.	გადახდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.	